ლიზა მურადაშვილი
საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
Lizimuradashvili12@gmail.com

ქალი, როგორც საარჩევნო სუბიექტი საქართველოში (1917–1920 წწ.)[1]

საკვანძო სიტყვები: ქალები, არჩევნები, პოლიტიკური პარტიები, რევოლუცია, დამოუკიდებლობის გამოცხადება.
Keywords: Women, Elections, Political parties, Revolution, Declaration of Independence.

უკანასკნელ წლებში ქართულ აკადემიურ სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი და კვლევების რაოდენობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა როლის თემატიკის შესახებ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია, მკვლევარ ლელა გაფრინდაშვილის მიერ გამოცემული კრებული „ქალები და ქალთა საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში", რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ავტორის ნაშრომი ქალთა პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ჩართულობასთან დაკავშირებით. ქალთა ბიოგრაფიული კვლევის საინტერესო მაგალითს წარმოადგენს სალომე ჭანტურიძის ბროშურა – „ქალები გასული საუკუნიდან (1918-1922)" (ჭანტურიძე 2021). ავტორი ბიოგრაფიული ფორმით წარმოაჩენს იმ ქალების მოღვაწეობას, რომლებმაც დამოუკიდებლობის წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აქტივობებით გამოიჩინეს თავი. ქალთა ინდივიდუალური ისტორიების გამოკვლევისა და რეაბილიტაციის საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის" საქმიანობა. ამ ორგანიზაციის მიერ მომზადებულ მემუარულ კრებულში – „დაკარგული ისტორია: მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ" – შესულია პირველ რესპუბლიკაში პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში მოღვაწე ქალების მოგონებები (დაკარგული ისტორია... 2012). ამავე ორგანიზაციის კიდევ ერთი საინტერესო გამოცემაა „საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი" (ხვადაგიანი 2016), რომელიც დამოუკიდებლობის წლებში მოქმედი ქალთა ორგანიზაციებისა და კომიტეტების საქმიანობას ასახავს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალური ისტორია განხილული აქვს ისტორიკოს ირაკლი ირემაძეს წიგნში – „შრომის ისტორია საქართველოში" (ირემაძე, ჩუბინიძე, სართანია 2024). მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ძირითადი ფოკუსი გენდერულ კომპონენტს არ მოიცავს, ნაშრომის ცალკეულ მონაკვეთებში

[1] ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 2025 წლის 6 ივნისს, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის VII საუნივერსიტეტო კონფერენციაზე.

ავტორი ფრაგმენტულად მაინც განიხილავს რესპუბლიკაში მშრომელ ქალთა მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მოღვაწე ქალთა ბიოგრაფიული მონაცემები შესულია პროფესორ დიმიტრი შველიძის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია-ლექსიკონი“.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოს 1917-1920 წლებით განსაზღვრა განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: პირველი, ქართულ სინამდვილეში ქალებმა არჩევნებში პირველად მონაწილეობა მიიღეს სწორედ 1917 წლის ზაფხულში, მთელი საქართველოს მასშტაბით გამართულ საქალაქო არჩევნებში. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, – ქალთა ხმის უფლების ისტორია უნდა ავითვალოთ არა 1918 წლიდან, არამედ 1917 წლიდან, როცა რეალურად, ქალი საარჩევნო სუბიექტად იქცა. მეორეც, 1917-1920 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სახის არჩევნები ჩატარდა. პირველ ორ არჩევნებს – საქალაქო არჩევნებსა და რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებს კურირებდა რუსეთის დროებითი მთავრობა და ამიერკავკასიაში მისი წარმომადგენელი ორგანო „ოზაკომი“, ხოლო მომდევნო ორი არჩევნები უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ჩატარდა. ოთხივე ამ არჩევნებში ქალები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები. მომდევნო არჩევნები კი, რომელიც კონსტიტუციის მიღების შემდეგ იგეგმებოდა, ცხადია ვერ შედგა, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის ინტერვენციისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობის გამო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქალთა საკითხების კვლევაში გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საზოგადოებაში მაინც ფესვგადგმულია აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს, ქალებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში მთელი რიგი უფლებები მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან მიენიჭათ. რასაკვირველია, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ქალთა უფლებების სამართლებრივ აღიარებასაც შეუწყო ხელი, თუმცა პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ საქართველოში ქალთა უფლებების რეალიზება დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ჯერ კიდევ, 1917 წლის მარტიდან დაიწყო. როგორც ჩანს, რუსეთში მონარქიის დამხობამ, ერთი მხრივ, წოდებრიობის გაუქმება გამოიწვია, ხოლო მეორე მხრივ, მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, მათ შორის, საქართველოშიც, ქალის სტატუსის ცვლილება. ეს უკანასკნელი, ცხადია, საარჩევნო უფლებების მინიჭებასაც გულისხმობს.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა იმპერიის ნგრევა, შესაძლებელი გახადა მანამდე ცენზურით აკრძალულ სხვადასხვა თემაზე ღრმა დისკუსიის დაწყება. პოლემიკა მოიცავდა ქალთა უფლებებზე მწვავე მსჯელობასაც, რადგან დროებითი მთავრობა იმპერიაში გაერთიანებულ ყველა დაჩაგრულ ფენას, დემოკრა-

ტიულ გარდაქმნებს ჰპირდებოდა. ქალები კი შედიოდნენ მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელთა ხმები გასულ წლებში „იკარგებოდა“. პოლემიკისა და რევოლუციური მღელვარების პარალელურად, საქართველოში აქტიურად დაიწყო ქალების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა.

ერთ-ერთი პირველი წერილი, რომელიც ქალთა უფლებებს შეეხებოდა 1917 წლის 18 მარტს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნდა. წერილი აანონსებდა, რომ უახლოეს დღეებში გამოქვეყნდებოდა აქტი, „რომლის ძალითაც ქალებს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლება მიეცემოდათ“ (ქალთა უფლება 1917: 2). გაჩნდა ახალი დაპირებებიც, რომლებმაც ჯერ კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკურ ფრთას კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტი მოუპოვა საქართველოში. პარტია მიიჩნევდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალებს არ მიანიჭებდნენ საარჩევნო უფლებებს, ისინი რესპუბლიკაზე გულს აიცრუებდნენ და რეაქციის გვერდით გამოვიდოდნენ დემოკრატიის წინააღმდეგ (დამფუძნებელი კრება 1917: 1). უფრო მეტიც, გაჩნდა ახალი ლოზუნგი: „ზავი, 8 საათის სამუშაო დღე, საერთაშორისო ინტერნაციონალის აღდგენა და ქალთა უფლებების გათანასწორება“ (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოებში 1917: 3).

აღსანიშნავია, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კატო მიქელაძის მიერ დაარსებულმა გაზეთმა – „ხმა ქართველი ქალისა“, რომელიც პარტიულ სტრუქტურების მიღმა მოქმედებდა და საკუთარ თავს დამოუკიდებელ ფემინისტურ პლატფორმად წარმოაჩენდა. მისი მოთხოვნები არსებითად განსხვავდებოდა იმ დროის პოლიტიკური პარტიების პოზიციებისგან, ვინაიდან, აქ აქცენტი კეთდებოდა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ხარისხობრივად ახალ სტანდარტზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, დამფუძნებელ კრებაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი პროპორციით წარმოდგენის მოთხოვნა, რაც ვფიქრობ, იმ ეპოქის კონტექსტში შესაძლოა, უჩვეულო და რადიკალურ ინიციატივად ჩაითვალოს (ქალი და დამფუძნებელი კრება 1917: 1). თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები რევოლუციის შემდგომი ამიერკავკასიისა და საქართველოს პოლიტიკური მოვლენების სათავეში იდგნენ, ქალთა ემანსიპაციისადმი მიმართული ნაბიჯები, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მათი პარტიული ტაქტიკის შედეგი იყო. შედეგად, „ხმა ქართველი ქალისა“ წარმოადგენდა დამოუკიდებელ ფემინისტურ ინიციატივას, იმ პირობებში, როცა რეალური ძალაუფლება პარტიულ სტრუქტურებში რჩებოდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტია რომ პრაქტიკაში ახორციელებდა ქალთა უფლებრივ გათანასწორებას გამოჩნდა მაშინაც, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი ახალი წევრებით დააკომპლექტეს. ამ უკანასკნელში, მენშევიკთა აღიარებული ლიდერების

გვერდით ორი ქალი: მარიამ ბერიანიძე და ინა კორენევა- ჟორდანია აირჩიეს (ახალი ამბები 1917: 2). პირველი მათგანი მოგვიანებით ეროვნული საბჭოს წევრიც გახდა და 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას. თუმცა როგორც ცნობილია, მან მანდატი ვერ მოიპოვა და შესაბამისად, ვერ გახდა დამფუძნებელი კრების წევრი. ხოლო ნოე ჟორდანიას მეუღლე, ინა ჟორდანია პროფესიით იურისტი, აქტიური პარტმუშაკი გახლდათ. იგი 1904-1905 წლებში მენშევიკური ფრაქციის ბაქოს კომიტეტის წევრი იყო.

1917 წლის მაისში, საარჩევნო კომიტეტის ბიურომ და ქ. თბილისის გამგეობამ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების კანონი გამოაქვეყნა. რეზოლუციის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა 20 წელს მიღწეულ ორივე სქესის მოქალაქეს შეეძლო. იმისათვის, რომ საარჩევნო ხმა არ დაკარგულიყო, რამდენიმე დღის განმავლობაში ამომრჩეველთა აღწერაც უნდა ჩატარებულიყო (მანდილოსნებო და მამაკაცებო... 1917: 1). არჩევნები მთელი საქართველოს მასშტაბით აგვისტოს დასაწყისში დაიწყო და ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა, ხოლო საბოლოოდ, ქალი ხმოსნების გაყვანა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (მ) მოახერხა.

ქალაქ თბილისის ხმოსანთა არჩევნებში ორმოცდაათი წევრიდან სამი ქალი მონაწილეობდა. ზემოხსენებულ ინა ჟორდანიასთან ერთად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა: მარო ზურაბიანმა და ელეონორა ტერ-ფარსეგოვამ (სოციალ-დემოკრატი ხმოსნები 1917: 3). ფოთის ქალაქის საბჭოში სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან კი – ლიუდმილა (ლიდია) მეგრელიძე აირჩიეს, რომელიც ჟურნალების: „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ თანამშრომელი იყო (ქ. ფოთის ხმოსანთა არჩევნები 1917: 3). გორში – მასწავლებელი ოლღა სოლოღოვი (რსდმპ გორის ორგანიზაციის ხმოსანთა სია 1917: 3), ჭიათურაში – სადიკო ვაშაძე, რომელიც ჯერ კიდევ, საშუალო სკოლის მოსწავლე გახლდათ (სია ჭიათურის თვითმართველობის სახმოსანო კანდიდატებისა 1917: 1), სამტრედიაში – მასწავლებლები: ნინა ფრანგიშვილი და ვერა პაპავა (ამხანაგენო და მოქალაქენო 1917: 1), ლანჩხუთში გიმნაზიის მასწავლებლები ალექსანდრა დარახველიძე, ეკატერინე ფხაკაძე და ნინა დიდიძე (ლანჩხუთის საბჭოს ხმოსნების არჩევნები 1917: 1), ხოლო სურამში მასწავლებელი და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ე. ლ. საყვარელიძისა აირჩიეს (სურამის საქალაქო არჩევნები 1917: 1).

მართალია, ქალაქის საბჭოს არჩევნებში ქალთა წარმომადგენლობა არ იყო მაღალი, თუმცა მათი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის არსებობა მაინც პროგრესულ მოვლენად ჩაითვლება. ამ ფაქტმა დიდწილად საფუძველი დაუდო მომდევნო არჩევნების თანასწორ რეჟიმში ჩატარებას.

აქვე, ერთ დეტალს უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ზემოთ წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ქალთა საარჩევნო მონაწილეობის

დონე რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავდება. დასავლეთ საქართველოში ქალების აქტიურობა აღმოსავლეთის რეგიონებთან შედარებით მაღალია, რაც მიუთითებს ქალთა ემანსიპაციისა და სამოქალაქო უფლებების შედარებით ძლიერ პოზიციას. ამ წლების პერიოდიკის ანალიზი გვარწმუნებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში ჯერ კიდევ, მკაცრი პატრიარქალური ტრადიციები და კონსერვატიული საზოგადოებრივი მენტალიტეტი არსებობდა. მაგალითისთვის, 1917 წლის მაისში, თერჯოლის საზოგადოებაში დიდი აურზაური გამოუწვევია ქალების არჩევნებში მონაწილეობის იდეას. წერილიდან ირკვევა, რომ მამაკაცებს კატეგორიულად არ სურდათ მათთან ერთად არჩევნებში ქალებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა (თერჯოლის საზოგადოება 1917: 4). მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი გორშიც, თუმცა ერთი განსხვავებით: „აქაურ ქალებს თვითონვე არ აინტერესებთ არავითარი კულტურული საქმეები, არ დადიან კრებებზე და არ ფიქრობენ პირობების გაუმჯობესებაზე“ (გორის მუშა ქალთა ცხოვრებიდან 1917: 4). ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, როცა სამეგრელოსა და განსაკუთრებით გურიაში, მრავალი საზოგადოება და ორგანიზაცია ყალიბდებოდა ქალების ჩართულობით, რომლებიც არჩევნებისათვის ქალთა მომზადებას ისახავდნენ მიზნად. გაზეთი „ერთობა“ სიამაყით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ „გურული ქალები პოლიტიკურ ამბებში მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ“ (სოფელი ჭანჭათი (გურია) 1917: 1).

საქალაქო არჩევნების კამპანიის პარალელურად, 1917 წლის 20 ივლისს რუსეთის დროებითმა მთავრობამ გამოსცა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული საარჩევნო წესით არჩევნების ჩატარებას (კუპატაძე 2018: 322). საარჩევნო უფლება ჰქონდათ იმ ქალებს, რომლებიც ითვლებოდნენ რუსეთის მოქალაქეებად და რომლებიც დაბადებულნი იყვნენ არა უგვიანეს 1897 წლის 12 ნოემბრისა (ამომრჩევლებს 1917: 1). ხაზგასასმელია, რომ ამიერკავკასია გამოიყო ცალკე საარჩევნო ოლქად, რომელიც კომისიის დადგენილებით 35 კანდიდატით დაკომპლექტდა (Веденеев, Борисов 2009: 202).

რუსეთის დამფუძნებელი კრების საარჩევნო ბიულეტენი 1917 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა. რსდმპ-ს კავკასიის საოლქო კომიტეტის კანდიდატთა სიაში სამი ქალსაც ვხედავთ. თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებთან, ინა კორენევასა და მარო ზურაბიანთან ერთად, არჩევნებში ცნობილი სოციალ-დემოკრატი, აქტიურ პარტიული მუშაკი, პროფესიით ექიმი, მინადორა ორჯონიკიძეა წარმოდგენილი, რომლის ქმარი – მალაქია ტოროშელიძე ბოლშევიკთა ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ (საარჩევნო სიები №1, 2, 3, 4... 1917: 2).

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები 1917 წლის 12-19 ნოემბერს ჩატარდა. არჩევნების შედეგად, ვერც ერთმა ზემოთ დასახელებულმა კანდიდატმა ქალმა ვერ მოიპოვა დეპუტატობის მანდატი, მაგრამ ბოლომდე არც არჩეულ დეპუტატებს „გაუმართლათ“ – 6 იანვარს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნები გაურკვეველი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ.

შექმნილმა პოლიტიკურმა ატმოსფერომ, რომელმაც გამიჯნა ქართული და რუსული ინტერესები, წარმოშვა ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის იდეა, სადაც ავტომატურად შევიდნენ ის დეპუტატები, რომლებიც სხვადასხვა პარტიის სიით რუსეთის დამფუძნებელ კრებაში იყვნენ წარმოდგენილნი. გარდა ამისა, მათ რიცხვს დაემატა ზოგიერთი ის კანდიდატიც, რომლებმაც დამფუძნებელ კრებაში მანდატი ვერ მოიპოვა. საქმე იმაშია, რომ ამჯერად სეიმის დაკომპლექტებისას მკვეთრად შეამცირეს საარჩევნო მეტრი: თუკი, რუსეთის დამფუძნებელ კრებაში მოსახვედრად თითოეულ კანდიდატს 62044 ხმა სჭირდებოდა, სეიმისთვის 2081 გახდა საკმარისი (კუპატაძე 2018: 324). სწორედ ამ პრინციპით მოხვდნენ ამიერკავკასიის სეიმში ქალებიც: ინა ჟორდანია და მინადორა ტოროშელიძე.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული მომდევნო არჩევნები უკვე თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს (1918-1921) ეგიდით გაიმართა. 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო იყო დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, მიიღო – „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“, რომლის პირველ მუხლში ვკითხულობთ: „დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო-განურჩევლად სქესისა, – თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისაებრ“; მეორე თავის მესამე მუხლში კი წერია: „დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შესრულებიათ...“ (დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა 1990: 84-85).

მართალია, იმდროინდელ პოლიტიკურ სპექტრში ყველაზე დიდ ავტორიტეტსა და პოპულარობას სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ფლობდა, თუმცა არჩევნებში უპირატესობის მოპოვების საფუძვლიანი პრეტენზიები სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც გააჩნდათ, რომლებიც საარჩევნო კამპანიის აუცილებელ წინაპირობად თავიანთი წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას მიიჩნევდნენ. ვფიქრობ, საინტერესო იქნება თავდაპირველად განვიხილოთ ამ პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის პერსპექტივიდან.

დამფუძნებელი კრების წინასაარჩევნო პროგრამა ყველაზე ადრე, 1919 წლის 22 იანვარს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ გაზეთ „ერთობაში“ გამოაქვეყნა. პროგრამა მნიშვნელოვანია, რადგან კარგად არის წა-

რმოჩენილი პარტიის სამომავლო გეგმები და მიმდინარე მოვლენებისადმი ხედვა. ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი მონაკვეთი: „რესპუბლიკის შიგნით სოციალ-დემოკრატიის მიზანია განამტკიცოს სრული ბატონობა ხალხისა, ე.ი დააწესოს პროპორციონალურ საფუძველზე საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული ერთ პალატიანი რესპუბლიკა... ამასთანავე მთავარ საკანონმდებლო საკითხებში უნდა შემოღებულ იქნას ხალხის პირდაპირი მონაწილეობა“ (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ... 1919: 1).

აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ქალთა ორგანიზაციების მუშაობას განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებდა. თუმცა იმ შემთხვევაში თუკი, ორგანიზაცია პარტიული იქნებოდა (არასამთავრობო ქალთა ორგანიზაციების მიმართ პარტია კონფრონტაციული იყო, ეს კარგად გამოჩნდა კატო მიქელაძისა და ნოე ჟორდანიას კამათში – ლ. მ). 1919 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ქალთა ორგანიზაციის ბიურომ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროდ რჩება ქალი სოციალისტების ხედვის, სტრატეგიისა და თვითდამკვიდრების საკითხებში.

წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ქალთა ორგანიზაცია მოქმედებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზოგად იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ჩარჩოებში. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში იდგა, წყდებოდა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის მიერ. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ქალი სოციალისტებისთვის დამოუკიდებელი ქალთა მოძრაობა არ ნიშნავდა პარტიისგან გამიჯვნას, არამედ, პირიქით, იყო მისი ორგანული ნაწილი. ქალთა ორგანიზაციის ძირითადი მიზანი იყო მშრომელი ქალების განათლება, ორგანიზება და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა. ამისთვის გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდი: წრეები, აგიტაცია, საჯარო გამოსვლები, პროფესიულ გაერთიანებებთან კავშირი, არჩევნებში მონაწილეობა და სხვა. წერილში ასევე ხაზგასმულია, რომ ქალების ძალისხმევა მიმართულია არა მხოლოდ გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ, არამედ მთლიანად კაპიტალისტური სისტემის დასაძლევად. აღსანიშნავია ისიც, რომ, მიუხედავად ცალკე სტრუქტურის არსებობისა, ქალთა ბიურო თავის საქმიანობას არ განიხილავდა ფემინისტურ დაპირისპირებად მამაკაცებთან. მათი ხედვით, ქალთა სრული გათავისუფლება მიღწევადია მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშათა კლასი მთლიანობაში მიაღწევდა სოციალისტურ გამარჯვებას (საქ. სოც-დემოკრატიული მუშათა... 1919: 9; აღნიშნული დოკუმენტი სრული სახით იხ. ნაშრომის დანართში).

დავუბრუნდეთ დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიას. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საარჩევნო სია 130 წევრით დააკომპლექტა, სადაც 6 ქალი კანდიდატი შევიდა. ეს ქალები იყვნენ: 1) მასწავლებელი

ელეონორა ტერ-პარსაგოვა მახვილაძისა, 2) ექიმი მინადორა ტოროშელიძე, 3) მასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი ქრისტინე შარაშიძე, 4) კოოპერატორი და გურიის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე ელისაბედ ბოლქვაძე, 5) მასწავლებელი ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი და 6) თამბაქოს ქარხნის მუშა მარიამ ბერიანიძე (საარჩევნო სია №1, 1917: 8). თითოეული მათგანი პარტიის აქტიური წევრი გახლდათ, მათ პოლიტიკური საქმიანობის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ დაგროვებული. ზოგიერთი მათგანი 1905-1907 წლების რევოლუციებშიც მონაწილეობდა, ზოგიერთი კი, როგორც ვნახეთ, 1917 წელს ქალაქის საბჭოს ხმოსნადაც აირჩიეს.

მალევე, 1919 წლის 26 იანვარს, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა წინასაარჩევნო პროგრამა. მსგავსად სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, მათაც სულ რამდენიმე წინადადებით ახსნეს სამომავლო გეგმა სქესთა სრული თანასწორობის შესახებ. პროგრამაში წერია: „ვეცდებით ყოვლის საშუალებით მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული ხალხური რესპუბლიკა, სადაც დაცული იქნება სრული თავისუფლება სიტყვის, წერის, სინდისის, კრების, კავშირების, გაფიცვების, სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებისა ყველასი განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა” (სოციალ-ფედერალისტთა... 1919: 1).

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ფედერალისტთა პარტია სისტემატურად აარსებდა ქალთა ორგანიზაციებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ქალები ჩართულნი იყვნენ პარტიის როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ თემებში. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტთა ქალთა კომიტეტში საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობა ქალბატონის ნინო ნაკაშიძის ჩართულობით ხორციელდებოდა. ამასთან, ადგილობრივ კომიტეტებში სოციალისტ-ფედერალისტები განათლებულ ქალებს დიდი ენთუზიაზმით ნიშნავდნენ სხვადასხვა პოზიციაზე (ირემაძე 2021: 23).

ქალთა პოლიტიკური ჩართულობისადმი პარტიის ამგვარი დამოკიდებულების შედეგი უნდა იყოს დამფუძნებელი კრების საკანდიდატო 120 კაციან სიაში 9 ქალის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი ქალი კანდიდატი სწორედ ფედერალისტებს ჰყავდათ წარმოდგენილი. ეს ქალები იყვნენ: 1) ჟურნალ „ნაკადულის” რედაქტორი ნინო ნაკაშიძე, 2) პედაგოგი და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრი მელანია გველესიანი, 3) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა, 4) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი თამარ ფალავანდიშვილი, 5) ელენე იმნაძე, 6) ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი, 7) ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიის უფროსი აგრაფინა ბახტაძე, 8) ლიუბა ჩხენკელი და 9) პოეტი და მსახიობი ანნა იურკევიჩი (დამფუძნებელი კრების საარჩევნო... 1919: 3-4).

სულ ბოლოს, 12 თებერვალს, დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ გაზეთ „შრომაში“ გამოაქვეყნა საარჩევნო პლატფორმა. სოც-რევოლუციონერები, იგივე, ესერები ამომრჩევლებს ჰპირდებოდნენ „საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციონალურ საარჩევნო უფლებას ყოველი მოქალაქისთვის განურჩევლად სქესისა, სარწმუნეობისა და ეროვნებისა“ (ესერთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა 1919: 1). პარტიის მიერ გატარებულ პოლიტიკას ქალთა საკითხებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ ვიცნობთ, თუმცა საარჩევნო სიაში შემავალი ქალბატონების სახელები ჩვენთვის კარგად ნაცნობია. ეს ქალები არიან: 1) მარიამი ჩხეიძე, 2) ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა, 3) ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა, 4) სოფიო ზარიძე და 5) ნინა ნადირაძე (სია კანდიდატთა... 1919: 23-24).

პარტიის ქალი კანდიდატებიდან ყველაზე პოპულარული მარიამ ჩხეიძე იყო, რომელიც პროფესიით იურისტი იყო და ასევე ავტორი 1921 წლის სოციალისტ-რევოლუციონერთა ალტერნატიული კონსტიტუციის ძირითადი ნაწილისა. ხოლო ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთი ხელმომწერია.[2]

გარდა ზემოაღნიშნული პარტიებისა, დამფუძნებელი კრების არჩევნებზე ქალი კანდიდატები ჰყავდა დასახელებული შემდეგ პარტიებს: საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიას (ნინო დგებუაძე, შუშანიკა ქავთარაძე და ნადეჟდა ჩიკვაიძე), საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიას (ნადეჟდა შალამბერიძე) და სომეხთა რევოლუციურ პარტიას, იგივე “დაშნაკცუთიუნს” (დარია თადეოსიანი და სირანუშ ამირბეგიანი).

რაც შეეხება, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, საინტერესოა, რომ პარტია მოახლოებულ არჩევნებს სწორედ იმ პროგრამით შეხვდა, რომელიც 1917 წლის 4 ივნისს დაამტკიცა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების წინ. საარჩევნო პროგრამაში, რომელიც პარტიის მთავარ გაზეთში დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „საარჩევნო უფლება აქვს რუსეთის ყველა 20 წლის მოქალაქეს“ (დამფუძნებელ კრების არჩევის დებულების პროექტი 1917: 4).

აღსანიშნავია, რომ პარტიას არც მაშინ და არც 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში საკანდიდატო სიებში ქალები არ ჰყავდა წარმოდგენილი. საფიქრებელია, რომ მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პარტიაში, ქალების არყოფნა საარჩევნო სიაში გარკვეულწილად ასახავდა, როგორც პარტიის იდეოლოგიურ პრიორიტეტებს, ისე იმ ეპოქის კონსერვატიულ საზოგადოებრივ ნორმებს, რომლებიც ქალების პოლიტიკურ მონაწილეობას

[2] დამოუკიდებლობის აქტს 1918 წელს სულ ორმა ქალმა მოაწერა ხელი: ოლღა სანიკიძემ ესერთა პარტიიდან და მინადორა ტოროშელიძემ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

ნაკლებად უწყობდნენ ხელს. განსხვავებით სოციალისტური პარტიებისგან, რომლებიც ქალთა თანასწორობის საკითხს თავიანთი პროგრამის ნაწილად განიხილავდნენ, მემარჯვენე ძალები ამ საკითხს დღის წესრიგში არ აყენებდნენ, რაც მათი კანდიდატების შემადგენლობაზეც აისახებოდა. გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არანაირი ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რაც ქალთა პოლიტიკური ჩართულობის წახალისებისკენ იქნებოდა მიმართული. შედეგად, ქალების პოლიტიკურმა აქტივობამ ძირითადად სოციალისტურ სივრცეში მოიყარა თავი, სადაც თანასწორობისა და ემანსიპაციის საკითხები პროგრამულ დონეზე უკვე წამოწეული იყო.

საბოლოო ჯამში, დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით სულ ოცდაექვსმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. საინტერესოა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაც, სადაც ოთხი მნიშვნელოვანი თანამდებობა არსებობდა: კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, ხაზინადარი და კომისიის მდივანი. ეს უკანასკნელი თანამდებობა კი, ეკავა ქალს – ანნა (ოლღა) სოლოღაშვილს, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით იყო წარმოდგენილი დამფუძნებელი კრების არჩევნებში (ირემაძე, ჭანტურიძე 2018: 19). შემორჩენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი ქალთა საოსტატო სემინარიის გამგისადმი: „ვინაიდან პარლამენტის წევრი ანნა სოლოღაშვილი დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის მდივანია და ვალდებულია მთელი დღეები სანამ არჩევნები დასრულდებოდეს კომისიაში იმუშაოს, გთხოვთ იგი დროებით გაანთავისუფლოთ თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში გაკვეთილების სიარულიდან“ (მიმოწერა სხვადასხვა დაწესებულებებთან... 1919: 31).

როგორც ცნობილია, დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ხოლო პარტიის სიით დეპუტატობის მანდატი შემდეგმა ქალებმა მოიპოვეს: მინადორა ტოროშელიძემ, ქრისტინე შარაშიძემ, ელისაბედ ბოლქვაძემ, ელეონორა მახვილაძემ და ანნა სოლოღაშვილმა (ანნა სოლოღაშვილი დამფუძნებელ კრებაში ნიკოლოზ კაციაშვილის გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს, წევრთა ჩანაცვლების პრინციპით – ლ. მ). ამჯერად მათ ბიოგრაფიებს და დამფუძნებელ კრებაში მათ საქმიანობას არ განვიხილავ, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ მათი საკანონმდებლო ინიციატივები საკმაოდ პროგრესული და დემოკრატიული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ პარტიებში ქალთა წარმომადგენლობითობა ფორმალურად მაღალი იყო (მაგალითად, ფედერალისტებს სიაში 9 ქალი ჰყავდათ წარმოდგენილი), მანდატების მოპოვება როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ სოციალ-დემოკრატების სიით წარდგენილმა კანდიდატმა ქალებმა მოახერხეს. ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ რეალური

თანასწორობა დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ნომინალურ მონაწილეობაზე, არამედ პარტიული სტრატეგიისა და კანდიდატთა პოზიციონერობაზე სიებში. გარდა იმისა, რომ სოციალ-დემოკრატებმა მეტ პოპულარობასთან ერთად, საარჩევნო პროპაგანდა უკეთესად წარმართეს, მათ ქალი კანდიდატები საარჩევნო პლატფორმაზე შედარებით წინა პოზიციაზე წარადგინეს. ეს კი, ლოგიკურია, პროპორციულ სისტემაში წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაც არის.

გარდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა, ქალებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საბჭოს არჩევნებშიც. 1918 წლის 17 დეკემბერს ოფიციალურად, კანონით შესაძლებელი გახდა 20 წელს მიღწეულ ქალთათვის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობა (დებულება ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა 1990: 168). თუმცა ამ დროისთვის, უკვე არსებობდა ერთი საინტერესო პრეცედენტიც. 1918 წელს, როდესაც სამაზრო ერობების ხმოსანთა არჩევნები ტარდებოდა, თბილისის მაზრაში, ყარაიზის ოლქში უპარტიო სიით მუსლიმი ქალი – ფარი ხანუმ სოფიევა აირჩიეს თბილისის მაზრის ერობის ხმოსნად. ეს ფაქტი საერთაშორისო მნიშვნელობის გახლავთ, ვინაიდან, ფარი ხანუმ სოფიევა სავარაუდოდ, მსოფლიოში პირველი დემოკრატიულად არჩეული მუსლიმი ქალია (ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 62).

1919-1920 წლებში ჩატარებულ საქალაქო არჩევნებში ჯამში 9 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, რომელთა უმრავლესობას საარჩევნო კანდიდატად ქალებიც ჰყავდათ წარმოდგენილი. ყველაზე მეტი ქალი თბილისის საქალაქო არჩევნებში მონაწილეობდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიას თბილისის საქალაქო არჩევნებში 5 ქალი ჰყავდა წარმოდგენილი. ესენი იყვნენ: პედაგოგი და ცნობილი მენშევიკი ელეონორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძისა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრი ნინო რუსია, პედაგოგი (ფილოლოგი) ანნა სოლოღაშვილი, ექიმი და აქტიური პოლიტიკოსი მინადორა ტოროშელიძე და არშანუმ ფარსუგიანი. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან მონაწილეობას იღებდნენ ანნა ყავრიშვილი და ნინო ყიფიანი. ეს უკანასკნელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურის, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი იყო. ესერთა პარტიას სიით – სონა ზარიძე, იურისტი მარიამ ჩხეიძე და პედაგოგი ოლღა სანიკიძე იღებდნენ მონაწილეობას. ფედერალისტებიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები: ნინო ნაკაშიძე, ეკატერინე ლორთქიფანიძე და ნინო ნეიმანი, ხოლო საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიიდან აქტიური რევოლუციონერი მარო დვალი იყო არჩევნებში დასახელებული. არჩევნებში ასევე მონაწილეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია,

საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო და საქართველოს ეროვნული პარტია, თუმცა მათ ქალები არ ჰყოლიათ წარმოდგენილი (თბილისის ქალაქის გამგეობისაგან 1919: 5; ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 214).

თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ქალებმა გაიმარჯვეს (ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 13). ამავე პარტიის წევრები იყვნენ სხვადასხვა ქალაქების არჩევნებში გამარჯვებული ქალებიც. მაგალითად, ქუთაისში მარიამ ვარდოსანიძე გახდა ქალაქის საბჭოს ერთადერთი ქალი დეპუტატი, რომელიც ამავდროულად, ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლის გამგე იყო(ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 206) ფოთში – მარგარიტა ქადეიშვილი და მწერალი ლიუდმილა მეგრელიძე (ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 268), ბორჯომში – მსახიობი მარიამ ნაკაშიძე (ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 289), ხოლო სურამში მასწავლებელი და აღმასრულებელი კომიტეტის წევრი- ვ. ძაგნიძისა აირჩიეს (ირემაძე, ჭანტურიძე 2019: 328).

მომდევნო, საპარლამენტო არჩევნები, რომელიც კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ იგეგმებოდა, ცხადია, ვერ შედგა 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის გამო. ეს თარიღი შეიძლება აღვიქვათ როგორც ერთგვარი სიმბოლური ზღვარი – იმ ეპოქის დასასრული, როდესაც ქალი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.

დასასრულს, 1917-1920 წლები წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, როდესაც ქალმა პირველად მიიღო მონაწილეობა როგორც ამომრჩეველმა, ისე კანდიდატმა. ამ წლების საარჩევნო პრაქტიკა საქართველოს არამარტო რეგიონულ ლიდერად, არამედ გლობალურ მოდელად წარმოაჩენს: მაშინ, როცა პარლამენტარიზმის სამშობლოდ წოდებულ ინგლისში ქალები ხმის მიცემის უფლებას 1928 წელს მოიპოვებენ, ხოლო რესპუბლიკანიზმის აკვან საფრანგეთში იგივე უფლებას ქალებს მხოლოდ 1940-იან წლებში მიანიჭებენ, საქართველოში ქალთა საარჩევნო უფლებები 1917 წლისთვის თითქმის, საკანონმდებლო დონეზე იყო ასახული. 1917-1920 წლებში ჩატარებულ არჩევნებში – ორჯერ რუსეთის დროებითი მთავრობის და ორჯერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში – ქალები უკვე არა მხოლოდ ჩანდნენ საზოგადოებრივ სივრცეში, არამედ მოქმედებდნენ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები.

ზემოაღნიშნულ არჩევნებში ქალების მონაწილეობა როგორც ამომრჩეველთა, ისე კანდიდატთა სახით, არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ფორმალურ ან სიმბოლურ აქტად. პირიქით, ეს იყო ქალის, როგორც სრულუფლებიანი პოლიტიკური სუბიექტის პრაქტიკული აღიარება და მისი გაერთიანება იმ დროის აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში. აღნიშნულმა პროცესებმა და თანადროულმა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კონტექსტებმა მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა ქალის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბების გზაზე.

დანართი

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციის დაარსება და მისი მოქმედება.

საქართველოში ქალთა მოძრაობა თავიდანვე მჭიდროთ იყო დაკავშირებული საზოგადო მოძრაობასთან და არა ჰქონდა ვიწრო ფემინისტური მოძრაობის ხასიათი. ჩვენში ღრმად იყო შეგნება იმისა, რომ ქალთა საკითხი არის ნაწილი საზოგადო სოციალური საკითხისა და მისი გამოცალკავებულად გადაჭრა შეუძლებელია. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მთელი მუშათა კლასი გმინავდა თვითმპყრობელობის მძიმე უღელ ქვეშ, მშრომელი ქალები ყოველთვის ჩაბმულნი იყვნენ განმათავისუფლებელ მოძრაობის საერთო ფერხულში და მამაკაცებთან ერთად სოლიდარულად გამოდიოდნენ ყოველივე გაფიცვებში თუ დემონსტრაციებში.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ დაამსხვრია საუკუნეებით გამოჭედილი მონობის ჯაჭვი და გაანთავისუფლა მშრომელი ხალხი; მანვე გაათავისუფლა ქალი და მიანიჭა მრავალი ისეთგვარი უფლება, რომლისთვისაც დღესაც იბრძვიან ბევრი სხვა მოწინავე ქვეყნის ქალები. საქართველოს რესპუბლიკის ქალს აქვს ყველა უფლება პოლიტიკური თუ სამოქალაქო, რომლითაც სარგებლობს მამაკაცი ჩვენს რესპუბლიკაში. ერთი მთავარი უფლებათაგანი არის საარჩევნო უფლება; იგი ჯერ კიდევ ბრძოლის საგანს შეადგენს მრავალი მოწინავე სახელმწიფოს ქალებისთვის; ჩვენში კი სრულიად არის იგი განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით ღირსეულად სარგებლობს ჩვენი ქალი და მხურვალე მონაწილეობას იღებს ყოველგვარ პოლიტიკურ არჩევნებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ 95% ხმის მიმცემთა ქალების რიცხვმა ხმა მისცა სოც-დემოკრ. მუშათა პარტიას, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ერთ თვალსაჩინო ნაკლს: ისტორიული და ობიექტური პირობების გამო ფართო მასა ქალებისა ჯერ კიდევ საკმარისად არ არის განვითარებული და გათვითცნობიერებული რის გამოც სათანადოთ ვერ იყენებს მოპოვებულ უფლებებს; დიდი შრომაა საჭირო რომ ჩვენმა ქალმა შეძლოს ფაქტიურად ისარგებლოს მოპოვებული ყველა უფლებით. რევოლუციის შემდეგ, როდესაც შეიცვალა პირობები და საშუალება მოგვეცა მუშაობის გაფართოვებისა, პრაქტიკული და ტეხნიკური მოსაზრებით საჭირო შეიქმნა სოც. დემ ქალთა ორგანიზაციის ცალკე დაარსება; ამის სანქცია მიღებულ იქმნა სოც-დემ. პარტიის მთავარი სახელმძღვანელო ორგანოსგან, ცენტრალური კომიტეტისგან 1918 წლის დეკემბერში.

სოც.-დემ ქალთა ორგანიზაციის ფუნქციას შეადგენს პროპაგანდა-აგიტაცია ქალთა შორის და ფართო ინიციატივა ყველა იმ კითხვებში, რომლებიც განსაკუთრებულად ქალებს ეხება. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს,

პარტიის საერთო გამოსვლებს და პრაქტიკულ ნაბიჯებს ქალთა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს საერთო პარტიული დირექტივების თანახმად. საერთო პარტიულ ორგანიზაციებში მჭიდრო კავშირის დასაკავებლად ქალთა ორგანიზაციას უფლება აქვს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი. დღიდან თავისი არსებობისა ს.-დ ქალთა ორგანიზაცია ემსახურება მშრომელი ქალების ორგანიზაციულად შეკავშირებას, მათ გათვითცნობიერებას და აწარმოებს პარტიულ და კულტურულ მუშაობას.

ქალთა ს.-დ ორგანიზაცია მოწყობილია იმავე წესით, როგორც საერთო პარტიული ორგანიზაცია. ქ. თბილისში ყოველ რაიონში არსებობს რაიონული ორგანიზაცია, მისი სახელმძღვანელო ორგანოთ ითვლება თბილისის ს.-დ ქალთა ორგანიზაციის ბიურო. ს.-დ ქალთა ორგანიზაციები არსებობენ აგრეთვე პროვინციის ქალაქებსა და სოფლებში თუმცა ჯერ კიდევ ბევრ ადგილს არ არის მოწყობილი ასეთი ორგანიზაციები.

პარტიული და კულტურული მუშაობა გამოიხატება პარტიულ წევრთა და თანამგრძნობთა სამეცადინო წრეების დაარსებაში, ყოველივე მნიშვნელოვან მომენტის შესახებ მოწოდების გამოშვებაში, ქალების პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელობაში, ყოველგვარ საზოგადო და პოლიტიკურ ხასიათის გამოსვლებში მონაწილეობის მიღებაში. მაგალითად არჩევნებში, დემონსტრაციებში, მანიფესტაციებში, ეროვნულ დღესასწაულებში და სხვ...

ამგვარად სოც.-დემ. ქალთა ორგანიზაციის ცალკე დაარსება გამოწვეულია პრაქტიკული და ტეხნიკური მოსაზრებით; ყოველ პოლიტიკურ საკითხში ჩვენ ვმოქმედებთ საერთო პარტიული დირექტივების თანახმად. ღრმათა გვწამს, რომ მშრომელი ხალხი განურჩევლად სქესისა შეადგენს ერთ განუყოფელ ოჯახს; მშრომელი ქალის სრული განთავისუფლება მოხდება მხოლოთ მაშინ, როდესაც მთელი მუშათა კლასი განახორციელებს თავის საბოლოო მიზანს ამიტომ ჩვენ მივდივართ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მამაკაცებთან ერთად, რომ შეერთებული ძალღონით დავამხოთ კაპიტალისტური წყობილება და დავამყაროთ სოციალიზმის სამეფო.

თბილ. ს.-დ ქალთა ორგანიზაციის ბიურო
1919 წელი, ქ. თბილისი (ხელნაწერი).
(საქ. სოც-დემოკრატიული მუშათა... 1919: 9).

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- **ამომრჩევლებს 1917:** ამომრჩევლებს, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 17 ოქტომბერი, №172, გვ. 1;
- **ამხანაგებო და მოქალაქენო 1917:** ამხანაგებო და მოქალაქენო, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 11 სექტემბერი, №145, გვ. 1;
- **ახალი ამბები 1917:** ახალი ამბები, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 30 მაისი, №58, გვ. 2;
- **გორის მუშა ქალთა ცხოვრებიდან 1917:** გორის მუშა ქალთა ცხოვრებიდან, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 29 დეკემბერი, №227, გვ. 4;
- **დაკარგული ისტორია... 2012:** დაკარგული ისტორია: მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ, **ნინო ბექიშვილის** რედაქტორობით. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2012;
- **დამფუძნებელი კრება 1917:** დამფუძნებელი კრება, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 28 მარტი, №11, გვ. 1;
- **დამფუძნებელ კრების არჩევის დებულების პროექტი 1917:** დამფუძნებელი კრების არჩევის დებულების პროექტი, გაზ. „საქართველო“, 1917 წლის 4 ივნისი, №119, გვ. 1;
- **დამფუძნებელი კრების საარჩევნო... 1919:** დამფუძნებელი კრების საარჩევნო სოციალ-ფედერალისტთა სია, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო და საარჩევნო კომისია, ფ. №1834, აღწ. №2, ს. №68, ფ. 3-4;
- **დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა 1990:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921. შემდგენელი **ე. გურგენიძე**. საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“, საქართველოს კოოპერატორთა კავშირი, კოოპერატიული გამომცემლობა „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990;
- **დებულება ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა 1990:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921. შემდგენელი **ე. გურგენიძე**. საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“, საქართველოს კოოპერატორთა კავშირი, კოოპერატიული გამომცემლობა „ივერთა მხარე“, თბილისი, 1990;
- **ესერთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა 1919:** ესერთა პარტიის საარჩევნო პლატფორმა, გაზ. „შრომა“, 1919 წლის 12 თებერვალი, №43, გვ. 1;
- **თბილისის ქალაქის გამგეობისაგან 1919:** თბილისის ქალაქის გამგეობისაგან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 26 იანვარი, №20, გვ. 5;
- **თერჯოლის საზოგადოება 1917:** თერჯოლის საზოგადოება, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 31 მაისი, №59, გვ. 5;
- **ირემაძე 2021:** ირემაძე ირაკლი. პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემა 1917-1921 წლების საქართველოში, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2021;
- **ირემაძე, ჭანტურიძე 2018:** ირემაძე ირაკლი, ჭანტურიძე სალომე. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, 2018;
- **ირემაძე, ჭანტურიძე 2019**: ირემაძე ირაკლი, ჭანტურიძე სალომე. ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2019;
- **კუპატაძე 2018:** კუპატაძე ბონდო. საარჩევნო სისტემის განვითარება და პოლიტიკური პარტიები საქართველოში (1917-1920), საქართველოს ეროვნული არქივის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული, თბილისი 2018. ხელმისაწვდო-

მია: https://archive.gov.ge/ge/konferentsiis-masalebi-1/erovnuli-arkivis-saertashoriso-konferentsiis-krebuli-2018-2, ბოლოს ნანახია 02.06.2025;

- **ლანჩხუთის საბჭოს ხმოსნების არჩევნები 1917:** ლანჩხუთის საბჭოს ხმოსნების არჩევნები, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 28 ოქტომბერი, №182, გვ. 1;
- **მანდილოსნებო და მამაკაცებო... 1917:** მანდილოსნებო და მამაკაცებო მცხოვრებნო ქ. თბილისისა, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 26 მაისი, №55, გვ. 1;
- **მიმოწერა სხვადასხვა დაწესებულებებთან... 1919**: მიმოწერა სხვადასხვა დაწესებულებებთან, საარჩევნო კომისიის თანხით და ინვენტარით უზრუნველყოფის შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო და საარჩევნო კომისია, ფ. 1834, აღწ. 1, ს. 1, ფურც. 31;
- **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოებში 1917:** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოში, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 20 აპრილი, №27, გვ. 3;
- **რსდმპ გორის ორგანიზაციის ხმოსანთა სია 1917:** რსდმპ გორის ორგანიზაციის ხმოსანთა სია, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 11 აგვისტო, №120, გვ. 3;
- **საარჩევნო სია №1, 1917**: საარჩევნო სია №1, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ამიერკავკასიის ორგანიზაციათა კომიტეტი, ფ. 1824, აღწ. 1, ს. 18, ფ. 8;
- **საარჩევნო სიები №1... 1917:** საარჩევნო სიები №1, 2, 3, 4, და 8 გვარების ჩვენებით, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ამიერკავკასიის ორგანიზაციათა კომიტეტი, ფ. №1824, აღწ. №1, ს. 16, ფ. 2;
- **საქართველოს სოციალ-დემოკრატიული... 1919:** საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმა, გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 22 იანვარი, №16, გვ. 1;
- **საქ. სოც-დემოკრატიული მუშათა... 1919**: საქ. სოც-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციის დაარსების შესახებ, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 186, ფ. 9;
- **სია კანდიდატთა... 1919**: სია კანდიდატთა, რომელთაც საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ასახელებს კანდიდატებათ საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრობაზე და მათი თანამდებობანი, საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივის განყოფილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო და საარჩევნო კომისია, ფ. 1834, აღწ. 2, ს. 85, ფ. 23-24;
- **სია ჭიათურის... 1917:** სია ჭიათურის თვითმმართველობის სახმოსანო კანდიდატთა, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 10 სექტემბერი, №143, გვ. 1;
- **სოფელი ჭანჭათი (გურია) 1917:** სოფელი ჭანჭათი (გურია), გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 14 ივლისი, №96, გვ. 1;
- **სოციალ-დემოკრატი ხმოსნები 1917:** სოციალ-დემოკრატი ხმოსნები, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 3 აგვისტო, №113, გვ. 3;
- **სოციალ-ფედერალისტთა... 1919:** სოციალ-ფედერალისტთა საარჩევნო პლატფორმა დამფუძნებელი კრების არჩევნებზე**,** გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წლის 26 იანვარი, №441, გვ. 1;

- **სურამის საქალაქო არჩევნები 1917**: სურამის საქალაქო არჩევნები, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 4 ნოემბერი, №188, გვ. 1;
- **ქალთა უფლება 1917**: ქალთა უფლება, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 18 მარტი, №4, გვ. 1
- **ქალი და დამფუძნებელი კრება 1917:** ქალი და დამფუძნებელი კრება, გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 1917 წლის 19 ოქტომბერი, №27, გვ. 1;
- **ქ. ფოთის ხმოსანთა არჩევნები 1917:** ქ. ფოთის ხმოსანთა არჩევნები, გაზ. „ერთობა“, 1917 წლის 10 აგვისტო, №119, გვ. 3;
- **ჭანტურიძე 2021:** ჭანტურიძე სალომე. ქალები გასული საუკუნიდან, 1918-1921 [ალბომი], „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“, 2021;
- **ხვადაგიანი 2016:** ხვადაგიანი ირაკლი. საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი: დაკარგული ისტორია. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, თბილისი, 2016;
- **Веденеев, Борисов 2009:** Веденеев Ю. А., Борисов И. Б.. Выборы во Всероссийское Учредительное собрание в документах и воспоминаниях современников. Москва, 2009.

Liza Muradashvili

MA program in History of Georgia, TSU

Lizimuradashvili12@gmail.com

WOMAN AS AN ELECTORAL SUBJECT IN GEORGIA (1917-1920)

(SUMMARY)

This paper explores the emergence of women as electoral subjects in Georgia during the transformative years between 1917 and 1920. This period, marked by the collapse of the Russian Empire and the subsequent establishment of the Democratic Republic of Georgia, provided a unique historical and political backdrop that significantly impacted the status and roles of women in public life. The paper investigates how the broader political and social upheavals of the time especially those triggered by the Russian Revolution and the subsequent reconfiguration of political power created new opportunities and challenges for women seeking political recognition and participation.

Central to the discussion are the elections of 1917, a watershed moment in Georgian history, during which women not only gained the right to vote but also began to actively assert themselves in the political sphere. This study pays special attention to the ways in which women engaged in these early democratic processes as voters, as candidates, and as active political agents thereby laying the groundwork for the future of women's political involvement in Georgia.

The paper further examines the brief but crucial period of Georgia's independence from 1918 to 1921, during which the country adopted progressive legislation, including the extension of suffrage to women. Within this context, the paper analyzes the extent and limitations of women's political participation, exploring both institutional frameworks and societal attitudes that shaped their roles.

A comparative analysis of the positions of the major political parties of the time the Social Democrats (Mensheviks), Socialist-Federalists, Socialist-Revolutionaries, and National Democrats sheds light on how different ideological groups approached the issue of women's rights. While some parties endorsed gender equality and encouraged female political participation, others remained ambivalent or even resistant to such changes. These differing political visions underscore the contested nature of women's political agency and the broader debates about democracy, citizenship, and social change during this period.

The study relies primarily on contemporary newspapers, parliamentary records, and archival documents, which offer valuable insights into the evolving discourse on women's political roles. These sources reveal not only how women were represented in public debates but also how they represented themselves – through activism, candidacies, and participation in party structures.

The research is primarily based on contemporary newspapers and archival materials, which provide valuable insights into how women's roles in politics were discussed, supported, or challenged during this formative historical moment.